

899.962-1 (09)

ბ - 836

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ბოლქვაძე ნატო

მერაბ ელიოზიშვილის შემოქმედება

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი  
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მიშველაძე რევაზ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი


ოფიციალური ოპონენტები: 1. სიგუა სოსო, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

2. კუცია ნანა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის 27-<sup>IX</sup> „13<sup>30</sup>“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P 10.01 N5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე  
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ“ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში  
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის 3-<sup>VII</sup>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  ნ. ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა: გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსი მერაბ ელიოზიშვილი გასული საუკუნის სამოციან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. იმ დროს ლიტერატურაში, კერძოდ კი პროზაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა როგორც ნაწარმოების ფორმის, ასევე თემატიკის თვალსაზრისით.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დასრულდა ეპიკური პოემის კვდომის პროცესი, რის გამოც არაერთმა პოეტმა პროზაში გადაინაცვლა. ე.წ. „ძველი პოემის“ ნაცვლად ჩამოყალიბდა ახალი – ლირიკული პოემა. დაახლოებით ასევე იცვალა სახე ბალადამაც; მისი ადგილი ნოველამ დაიკავა. საზოგადოდ კი ეპიკური პოეზია მთლიანად გადაიღვარა მოთხრობაში, რომანსა და ნოველაში. მაშასადამე მოხდა ეპოქალური განპოლუსება: ერთ მხარეზე დადგა ლირიკური ეპიქა და ლირიკული პოემა, ხოლო მეორეზე – მოთხრობა, რომანი, ნოველა. ამ მეტად მნიშვნელოვანმა ვითარებამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა პროზის განვითარებაზე. რომანთან ერთად წინა პლანზე დადგა მოთხრობა, განვითარდა ნოველა. პროზას ასპარეზი გაუფართოვდა, პოეზია კი, თითქოს ჩიხში შევიდა. გარდა ამისა, თუ 1950-იანი წლებისათვის მოთხრობა, ნოველა და რომანი თითქმის თანაბარი ძალით გამოხატავდა საზოგადოების სათქმელს, გრძნობებსა და განცდებს, შემდეგ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების კვალობაზე ცხოვრების რიტმის შეცვლასთან ერთად, რამდენადმე უკანა პლანზე გადავიდა რომანი და რომანი-ეპოპეა, ხოლო წინ წამოიწია მოთხრობამ და ნოველამ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა. ჩვენი საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დიდი ინტენსივობით იწერება კრიტიცისტული პათოსით განმსჭვალული მოთხრობები და ნოველები.

ამ და სხვა თავისებურებებმა, თვითმყოფადმა ხელწერამ, უხვმა და საინტერესო სათქმელმა განაპირობა მერაბ ელიოზიშვილის შემოქმედებით დაინტერესება და ჩვენი კვლევის საგანიც შემოქმედის ადგილისა და როლის ძიებაა მისივე თაობის მწერალთა შორის.

სამი მოთხრობიდან, რომელიც 1958 წელს „ცისკარში“

-5987-